კრებსითი გამოცდების ჩაბარების წესი/პროცედურა

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო და მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები პროგრამის სწავლის შედეგების დასადასტურებლად სამაგისტრო ნაშრომის დაცვასთან ერთად ითხოვს ორი ტიპის კრებსითი გამოცდის ჩაბარებას:

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს შემაჯამებელ კრებსით გამოცდას:

1. **პედაგოგიკურ დისციპლინებში;**
2. **საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში** (ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინები, მათემატიკის დისციპლინები, ბუნებისმეტყველების დისციპლინები).

მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოითხოვს შემაჯამებელ კრებსით გამოცდას:

1. **პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიის მიმართულების დისციპლინებში;**
2. **საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში** (ქართული როგორც მეორე ენა, მათემატიკა, ბუნება)

<u>გამოცდაზე გასვლის უფლება</u>

მერვე სემესტრიდან კრებსით გამოცდებზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შესრულებული აქვს სავალდებულო კრედიტები:

- ✓ I-IV კლასის საგნისა და საგნის სწავლების მეთოდიკის დისციპლინებში;
- ✓ I-IV კლასის პედაგოგიურ დისციპლინებში.

<u>გამოცდის ჩატარების ფორმა და ვადები</u>

კრებსითი გამოცდების ჩატარების ფორმაა წერითი გამოცდა.

საგამოცდო ნაშრომებს აფასებს ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით დამტკიცებული კომისია, რომელიც შედგება 3-5 წევრისგან.

კრებსითი გამოცდები ინიშნება სასწავლო პროცესის ვადებით განსაზღვრულ საგამოცდო ვადებში.

<u>გამოცდების შეფასების სისტემა</u>

დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კრებსითი გამოცდების შეფასების სისტემა:

#	საგანი	ჯამური ქულა	კომპონენტებ ის ქულები	მინიმალური ზღვარი
1.	**შემაჯამებელი კრებსითი გამოცდა პედაგოგიკურ დისციპლინებში**	100	-	51
2.	**შემაჯამებელი კრებსითი გამოცდა საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში**			
	ქართული ენისა და ლიტერატურის დისციპლინები	70 (კონვერტირდება 100 ქულაში)	35	12
	მათემატიკის დისციპლინები		19	7
	ბუნებისმეტყველების დისციპლინები		16	6

მულტილინგვური განათლება - დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კრებსითი გამოცდების შეფასების სისტემა:

#	საგანი	ჯამური ქულა (კონვერტირდება 100 ქულაში)	კომპონენტებ ის ქულები	მინიმალ ური ზღვარი 40%
1.	**შემაჯამებელი კრებსითი გამოცდა პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიის მიმართულების დისციპლინებში**	50		
	პედაგოგიკა (საფუძვლები)		35	18
	ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მეთოდიკა		15	8
2.	**შემაჯამებელი კრებსითი გამოცდა საგანსა და საგნის სწავლების მეთოდიკაში**	70		
	ქართული, როგორც მეორე ენა		35	12
	მათემატიკა		19	7

	ბუნებისმცოდნეობა		16	6

სტუდენტი ჩაჭრილად ითვლება თუ გამოცდის რომელიმე მიმართულებაში/კომპონენეტში ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი (40 %).

გამოცდები ფასდება 100 ქულიანი სისტემით.

გამოცდების საბოლოო ქულა გამოითვლება კრებსითი გამოცდების კომისიის წევრთა შეფასებების საშუალო არითმეტიკულით.

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

და ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასება 41-50
ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასება 40 ქულა და ნაკლები

<u>გამოცდის შეფასების დაფიქსირება, აპელაცია</u>

სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში გამოცდის შედეგების დასაფიქსირებლად საგამოცდო კომისიის მდივანი კრებსითი გამოცდების შევსებულ და ხელმოწერილ უწყისს გადასცემს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფლებამოსილ თანამშრომელს;

სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის გამოქვეყნებიდან 2 სამუშო დღის ვადაში მიმართოს საგამოცდო კომისიას (ფაკულტეტის კანცელარიის საშუალებით – chancellery.pes@tsu.ge) და მოითხოვოს ნაშრომის გაცნობა და შედეგების გადასინჯვა;

საგამოცდო კომისიის მდივანი განცხადების/საჩივრის მიღებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს სტუდენტისთვის თავისი ნაშრომის გაცნობას და აპელაციის დასკვნის მიწოდებას ფაკულტეტის უფლებამოსილი თანამშრომლისათვის.

აღნიშნული პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება საგამოცდო კომისიას. აპელაციის შედეგს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში აფიქსირებს ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომელი.

კრებსითი გამოცდების ნაშრომები, საგამოცდო შეფასებების ხელმოწერილი უწყისები და სააპელაციო კომისიის დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინახება პროგრამის ხელმძღვანელთან შესაბამის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში/მიმართულებაზე.

<u>გამოცდების ჩაბარების/ჩაჭრის შედეგები</u>

კრებსითი გამოცდების ჩაბარება არის სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე გასვლის წინაპირობა;

ერთი და იგივე კრებსითი გამოცდაზე გასვლა სტუდენტს შეუძლია სამჯერ.